საქართველოს კომუნისტური პარტია (ბოლშევიკების).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

კვირა, 11 ივლისი 1920 წ.

რედაქცია და კანტორა [illegible] პასკევიჩის ქ. № 3 [illegible] თვიური ხელის მომწერთათვის [illegible] ღირს 125 მან.

ფასი 5 მან.

№ 20 ყოველდღიური ორგანო საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტებისა. № 20

## გ. „საქ. კომუნისტი“-ს კორესპონდენტე-ბის საყურადღებოთ

რედაქცია აცხადებს შემდეგს: კორესპონდენციები აუცილებლივ უნდა იქნეს დაწერილი მელნით, სუფთად, ქაღალდის მხოლოდ ერთ გვერდზე. წინააღმდეგ შემთხვევაში რედაქცია მათ არ განიხილავს.

რედაქცია.

## [...]მოკრატიული პოლიციის წარმატება

[...]ლიტიკური დანაშაულობის ბუნება [...] არ ყოფილა თვით რუსეთის მე[...]ის კანონმდებელთათვის. რომანო[...] იუსტიცია უსასტიკესათ დევნიდა, [...]ოგველათ სჯიდა, ციხეებში ალ[...]ა, შიარეულ ყინულიან ციმბირის [...]ნ ტყეებისკენ ისტუმრებდა ან და [...]ობელაზე აყავდა თვითმპყრობელო[...]და კერძო საკუთრების ინსტიტუტის [...]ბი, რევოლიუციონერები და სო[...]ისტები. მარა არც იუსტიციას და პოლიტიკურ პოლიციას ენიდან არ [...]ეპოდათ ბრალდება ამათ წი[...]მდეგ ანგარებაში, კერძო ინტერე[...]ო მოქმედებაში. კანონს ეჭვი არ [...]ნდა პოლიტიკურ დამნაშავეთა მოქ[...]ბის და ბრძოლის მიზნების სიწმინ[...], მათ გულწრფელობაში—ისინი [...]ოთ ფანატიკოსებათ მიაჩნდა, ასე [...]ჯეთ—ამ „კატეგორიის დამნაშავე[...]ის ცალკე „საპატიო“ ციხეებიც კი [...]ობდა „კრეპოსტის“ სახით. პოლი[...] [illegible] ხიანობას იჩენდა რევოლიუციონე[...] მიმართ, ყოველ შემთხვევაში არც [...] პასუხისმგებელი აგენტი ჟან[...]ერიის, არც ერთი ჯაშუში თუ [...]ოკატორი არ ყოფილა ჩაჭერილი [...], რომ განეზრახოს რევოლიუციო[...]სათვის მოეხვია თავზე ჩვეულებ[...] სისხლის სამართლის საქმე—ყაჩა[...], ავარობა და სხვ. ასეთი. მაშინაც [...]ოცა შემოღებული იყო ე. წ. პარ[...]ნული გამოსვლები — პოლიციის [...]ქმედება და ფანტაზია არ ლახავდა [...]იტიკურ მებრძოლთა უმწიკვლო მის[...]ვებას. ასე იყო მეფის დროს—რო[...]ც რუსეთში, ისე ჩვენში.

[...] ხდება ახლა დემოკრატიის სამ[...]რებელში? ნუ თუ ნიკოლოზის [...]ინდელი საზომიც კი აღარ მოქმე[...]ს, ნუ თუ 1903 წ., სისხლის სამარ[...]ს დებულება ველარ აკმაყოფილებს [...]რობის აგენტებს პოლიტიკურ დამ[...]ვეთა დევნაში? დიახ, ველარ აკმა[...]ილებს! დიახ, სულ სხვა საზომის [...]არჯვება დაუწყიათ მათ ჩვენთან [...]ოლაში!

[...]უ წინეთ, სტოლიპინის რეაქციის [...]ში გუნია—ხეოპელები და მათი სა[...]უშო „ორგანო“ სახავდა რევოლიუ[...]ნერებს ყაჩაღებათ, ბანდიტებათ, [...]რცველებათ და ქურდებათ, თუ წი[...] მენშევიკები ასეთ ბრალდებით აღ[...]ოთებულნი იყვენ, ახლა ამას სჩადიან [...]რეთ მენშევიკები, ამას სჩადიან მათი [...]ციალური აგენტები. „ერთობა[...]ობა“-ს ტერმინოლოგიით კომუნისტი [...] ყაჩაღი ერთი და იგივეა. და აი [...]თობაზე“ აღზრდილი ქუთაითური [...]ლიციელი, რაკი ვერაფერს საშაროს [...]ხავს ჩვენი პარტიის ორ ცნობილ [...]ერს, სატუსაღოში აგზავნის მათ და [...]ლოთ ციხის კანტორაში უკითხავენ [...]ალდებას: მავნე პირები ხართ, ყაჩაღთა [...]ბოს აღგენდით დაცემების მოსაწყო[...]ოთ!! ჩვენ ვიცით, რომ ქურდს ყველა [...]რდი გონია, მარა ვერ წარმოგვედგი[...], რომ შესაძლებელი იყო ასეთი უმზ[...]ვსოების უფსკრულში გადაშვება, ასეთი მართლა და გაყაჩაღება იმ აგენტის, რომელიც ამხ. დავ. ლორთქიფანიძეს ყაჩაღთა ბრბოს მეთაურათ აცხადებს ოფიციალურ დადგენილებაში! აქ შესაძლებლობის საზღვარი უკვე გადასულია, ჯერ გაუგონარი რეკორდია მიღწეული პოლიციურ ხელოვნებაში!

ბატონი მენშევიკები იმედია არ დააყოვნებენ და მარქსისტულათ დაასაბუთებენ ამ მოვლენას, რომელიც აღმოცენდა მხოლოდ და მარტო მრავალქებულ „ოაზისში“.

## დენიკინის მოხალისე ლიტერატორი

ჩვენ განზრახ არ გაუკეთეთ შენიშვნა ჩვენი გაზ. მე-18 გამოქვეყნებულ სოსნოვსკის წერილს ბ. დევდარიანის გმირობის გამო, რომელსაც ხარკოვში დენიკინის შესვლისას, როცა ჯერ კიდევ ტრიალობდა წამებულ რევოლიუციონერთა სისხლის ოხშივარი, ესარგებლებია დენიკინის სამეფოში „ბეჭვდის თავისუფლებით“ და გამოეცა მორიგი № ჟურნალ „[illegible]“-ს. ბ. დევდარიანის [illegible] „სუბიექტიურათ რევოლიუციონური ძალა ობიექტიურათ შეიძლება გამოდგეს რეაქციონური“—ეს ბოლშევიკების საჩუქარია ბ. დევ-ანის მადლიან ხელიდან. „სუბიექტიურათ რეაქციონური ძალა შეიძლება გამოდგეს რევოლიუციონური ობიექტიურათ“—ეს უქვეშევრდომილესი ძღვენია დენიკინისთვის ბ. დევ-ანის მარქსისტულ ხელიდან. ბ. დევ-ანი („ერთობა“ 153) აღიარებს რომ ეს ულრმესი სოციოლოგიური თეორია მართლა მისი ჭკუის კოლოფის ნაყოფია. აქაური მენშევიკები იმას მაინც ამბობდენ, რომ რუსეთში მხოლოთ ბოლშევიზმია რევოლიუციის მატარებელი და წინამძღოლი, ხოლო დენიკინიზმი—შავი რეაქციის მატარებელი, და ამიტომ იქ ყოველმა გულწრფელმა რევოლიუციონერმა მხარი უნდა დაუჭიროს კომუნისტებს და საბჭოთა მთავრობას და შეებრძოლოს რეაქციას დენიკინ-კოლჩაკ-იუდენიჩის სახით. ბ. დევდარიანი—კი მარქსიზმის სახელით რევოლიუციონურ მესიათ აცხადებს გენერლების კონტრ-რევოლიუციას და ისიც ქ. ხარკოვის რევოლიუციონერთა ჯერ კიდევ გაუშრალ ძმურ საფლავებზე!! ვეკითხებით „ერთობის“ მკითხველებს, ვეკითხებით გულწრფელ მენშევიკებს: ნუ თუ თქვენი სინიდისი შეუშფოთებელი დარჩება, ნუ თუ თქვენი მთელი არსება არ შეძრწუნდება, როცა დენიკინის გუნდრუკის მკმეველს, დენიკინის მოხალისე ლიტერატორს ხედავთ თქვენს მასწავლებლის როლში, თქვენი მუშური ბრძოლის ხელმძღვანელის როლში? სოსნოვსკის წერილიდან თქვენ გაეცანით ბ. დევ-ანის მხოლოთ ერთს გმირულ საქმეს: რამდენი ასეთი საქმე ექნება მას ჩადენილი იმ ორი წლის განმავლობაში, როცა ის ამაოთ უცდიდა რუსეთში საბჭოთა რესპუბლიკის დამხობას, რომ შემდეგ, „ობიექტიურათ რევოლიუციონერ“ დენიკინის უკუქცევის დროს მოეშურებია ძვირფას სამშობლოში და თქვენი ხელმძღვანელობა დაეწყო.

ჩვენ კი, ჩვენდა თავად, ვაცხადებთ. სრული მართალია ბ. დევ-ანი, როცა ამბობს წერილის ბოლოში, რომ „საქართველოს კომუნისტს“ არ სწყალობს ბედი“. დიახ, უბედურნი ვართ, რომ ასეთ მოწინააღმდეგესთან, ასეთი დენიკინის მირონცხებულ ლიტერატორთან გვიხდება „იდეიური“ ბრძოლა.

## ინგლისი და საბჭოთა რუსეთი

1849 წელს, „ახალი რეინის გაზეთი“, რომელიც მარქსის ხელმძღვანელობით გამოდიოდა, თავის საახალწლო ნომერში მოთავსებულ ძველი წლის მიმოხილვაში, სწერდა ინგლისის შესახებ სხვათა შორის შემდეგს: „ქვეყანა, რომელმაც საკუთარ პროლეტარებათ აქცია ამდენი ერები, შეჰბოჭა თავისი მძლავრი მკლავებით მთელი ქვეყნიერება, რომელმაც ერთხელ უკვე აანაზღაურა თავისი ფულით რესტავრაციის ხარჯები ევროპაში, სადაც კლასთა წინააღმდეგობა აშკარა, უსირცხვო ფორმებში ჩამოყალიბდა და რომელიც თვით დედის საშოშივე ჰგუდავს შიმშილით ახალ საზოგადოებას—ეს ქვეყანა, ინგლისი, აღმართულია რო გორც კლდე, რომელზედაც იმსხვრევიან რევოლიუციის ტალღები“ო.

სამოცდა ათმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც ეს სიტყვები დაიწერა და ამ დრომ თავისი დაღი დააჩინა მიუვალ ალბიონის „კლდეებს“. სამუდამოთ და დაუბრუნებლათ ჩაინთქა ისტორიის უფსკრულში ის ძლევამოსი ლება, რომლითაც მისი გაბატონებული კლასები მეთაურობდენ პირველ კონტრ-რევოლიუციონურ ევროპის კოალიციას რევოლიუციონური საფრანგეთის წინააღმდეგ. გაბატონებული კლასების ეგოისტურმა ინტერესებმა მეორეთ არგუნეს [illegible] თაურობა, ამ შემთხვევაში უკვე მუშათა რევოლიუციის საწინააღმდეგო კოალიციისა, რომლის როლში ის ჩვენ თვალწინ დამარცხებული გამოდის, რადგან შინაურ და გარეშე მტრებზე გამარჯვებას შეჩვეულ მედიდურ ინგლისის ბურჟუაზიას სულ სხვა სოციალ-ეკონომიურ პირობებში უხდება დღეს ბრძოლა იმ რევოლიუციონურ ქარტეხილთან, რომელიც ნელა, მარა შეუჩერებელი თანდათანობით ედება მსოფლიოს და მასთან ერთად თვით დიდი ბრიტანეთის კუნძულსაც. ჭეშმარიტად ჩვენ მოწამენი ვხდებით უდიდესი ისტორიული გადატეხის, როდესაც ერთი, უაღრესათ მნიშვნელოვანი ძალა, ძალა წარსულის და სასიკვდილოთ გამზადებული კაპიტალისტური რეაქციის, უკან იხევს ისტორიული ასპარეზიდან და მეორე კი, ძალა კომუნისტური რევოლიუციის რუსეთის გმირული პროლეტარიატის მეთაურობით წინ წამოიჭრა ამავე ასპარეზზე. როგორც ყველა სხვას, ამ მოვლენასაც თავისი მიზეზები აქვს.

კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყანაში, მსოფლიო ბაზარზე მისი მონოპოლიური მდგომარეობის გამო, მუშათა მოძრაობაც თავისებური გზით წავიდა. ინგლისის ძლიერი პროფესიონალური კავშირების, ტრედიუნიონების, დამახასიათებელი სულის კვეთება იყო კორპორატიული, ვიწრო, ყოველდღიური ინტერესებით განსაზღვრული და არა რევოლიონური, ე. ი. ისეთი, რომელიც აყენებს კითხვას არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რადიკალურ შეცვლის შესახებ კერძო საკუთრების ინსტიტუტის გაუქმებით. ისინი მისდევდენ ბურჟუაზიულ პარტიებს ან ისეთ მუშათა პარტიულ ჯგუფებს, რომლებიც არსებითად აკეთებდენ ისევ ბურჟუაზიის საქმეს. პოლიტიკური განვითარების ამ საფეხურზე, როდესაც მთელი ინტერესი შეზღუდულია უმახლობელესი მიზნით და საბოლოო პერსპექტივები მოძრაობის დაბურულია, ბუნებრივი არის, რომ საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობაც იმავე ბეჭედს ატარებდეს და მოკლებული იყოს ფართო რევოლიუციონურ შემოქმედებას. ასეთ მდგომარეობაში პროლეტარიატი უფრო მეტ საერთო ენას პოულობს სხვა და სხვა ნაციონალურ კლასებთან, რომლებიც არსებულ ეკონომიურ ურთიერთობათა ნიადაგზე დგანან, და ხშირათ ბრმა იარაღი ხდება გაბატონებულ კლასების ხელში მათი ინტერესების მისაღწევათ. ამის მაგალითებს გვაძლევს საერთოთ წარსული საუკუნის უკანასკნელი ნახევარი ინგლისის მუშათა მოძრაობაში. მარა შეუძლებელი იყო, რომ ასეთი მდგომარეობა „სამუდამოთ“ დარჩენილიყო.

სხვა კაპიტალისტური ქვეყნების, უმთავრესათ კი გერმანიის, გამაგრებამ მსოფლიო ბაზარზე თავისი გავლენა მოახდინა ინგლისის პრივილეგიურ მდგომარეობაზე და მისი მუშათა კლასის შედარებით უკეთესი მატერიალური ცხოვრებაც საგრძნობელათ შეირყა. თავის მასაში ის უკმაყოფილებამ მოიცვა, თანდათან აშკარა შეიქნა მისთვის ძველი ტრედიუნიონიზმის გზით მდგომარეობის თვალსაჩინო შეცვლა, თავი იჩინა უნდობლობამ ბურჟუაზიული პარტიების მიმართ, რომლებსაც ის ამდენ ხანს მისდევდა. მაგიერათ „სოციალისტური“ პარტიების და ახალი ტრედიუნიონიზმის გავლენა საგრძნობელათ გაიზარდა. მდგომარეობა გამწვავდა და ამ უკანასკნელის ხუთმეტი წლის განმავლობაში ომამდი ჩვენ მოწამე შევიქენით ისეთი ფართო გამოსვლების, რომლებიც ინგლისს არ ახსოვს ჩარტისტული მოძრაობის შემდეგ. [illegible] შინაური ფრონტი ჩვეულ ინგლისის ბურჟუაზიას და საფიქრებელი მისცა მას.

ასეთი იყო საერთოთ აღებული მდგომარეობა ინგლისში ომის წინა დღეებში. ხოლო ამ ომის შედეგებმა და იმ გაჭირვებამ, რომელთაც ჭის გამო თავზე დაატყდა მშრომელ ხალხს, კიდევ უფრო გაამწვავა მდგომარეობა. მან შექმნა ის კრიზისი, რომელიც შეუდარებელი სისწორით გაითვალისწინა შტუტგარტის და შემდეგმა საერთაშორისო სოციალისტურმა კონგრესებმა, და რომლებიც შიშის ზარს სცემს დღეს მსოფლიო ბურჟუაზიას. „საშიში მდგომარეობა შეიქმნა ევროპაშიო—განაცხადა ლლოიდ-ჯორჯმა ინგლისის პარლამენტში ახალი სესიის გახსნის დროს მიმდინარე წლის თებერვალში. მე ვლაპარაკობ ამას საქმის კარგად დაკვირვებით და შიშის განცდით, მე ვაფრთხილებ პარლამენტს, რომ ჩვენ დაგვრჩენია ერთად ერთი საშვალება—გამარჯვებული გამოვიდეთ იმ ქარტეხილიდან, რომლის ამოვარდნის მოლოდინში ჩვენ ვიმყოფებით, ეს არის სასტიკი ბრძოლა ანარქიის წინააღმდეგ“-ო. ხოლო ამ „ანარქიას“ მეთაურობს დღეს რუსეთი და ამნაირათ მის წინააღმდეგ ბრძოლა არ ამოშლილა ამ უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ინგლისისა და მთელი მის ირგვლივ შემოკრებილი კოალიციის დღის წესრიგიდან.

თუ ასეთია დღეს მდგომარეობა ევროპაში, არა ნაკლებ საშიშროებას წარმოადგენს ის მის კოლონიებში, განსაკუთრებით ინგლისისაში, რომლებიც მოცულია შეუწყვეტელი აჯანყებებით თავის მძარცველების წინააღმდეგ. და ამ საერთო უკმაყოფილების ნიადაგზე აღმოცენებულ რევოლიუციონური მოძრაობის სულის ჩამდგმელია დღეს საბჭოთა რუსეთი. მისკენ არის მიპყრობილი არა მარტო ევროპის და ამერიკის პროლეტარიატის, არამედ აზიის და აფრიკის დამონებულ ხალხთა ყურადღება. მისი გამარჯვება ახარებს მათ ისევე, როგორც ამწუხრებს მათ მისი ეპიზოდიური დამარცხება საბჭოთა რუსეთში, მის პროლეტარიატში და ხელმძღვანელ პარტიაში. ხედავენ დღეს თავის საქმისთვის მებრძოლს და მოსარჩლეს ყველა გაყვლეფილი და ევროპის იმპერიალისტური ყაჩაღების მიერ გაძარცვულ-გაქურდული ერები და ტომები. ეს გარემოება ჰქმნის მათ შორის არა მარტო მორალურ, არამედ მატერიალურ კავშირსაც. ევროპის მუშათა კლასი და კერძოთ ინგლისის ღონეს ხმარობენ, ხელი შეუშალონ თავის ბატონებს რუსეთის შინაური კონტრ-რევოლიუციის ხელის შეწყობაში. უძლიერესი პროფესიონალური, პოლიტიკური კავშირები და მათი სიეზდები მოუწოდებენ თავის წევრებს, მოსპონ მზადება და გზავნა პოლონეთისათვის საჭირო საომარი მასალისა. დელეგაციები მიემართებიან დამონებული კოლონიებიდან მოსკოვში რჩევის მისაღებათ. თვით გაზეთი „ტანი“ სწერდა აგერ წინაზე, რომ ბოლშევიკებმა შეარყიეს ინგლისის მდგომარეობა აღმოსავლეთშიო. ამ პირობებში სრულიად ბუნებრივია, რომ ინგლისი, რომელიც ყველა თავის მოკავშირეებზე უფრო მწვავეთ განიცდის რუსეთის რევოლიუციის გავლენას თავის მუშათა კლასზე და კოლონიებზე, საზავო მოლაპარაკებას აწარმოებს საბჭოთა მთავრობასთან და სურვილს გამოსთქვამს აღადგინოს მასთან არა მარტო სავაჭრო, არამედ პოლიტიკური კავშირიც. ეს არის უკან დახევა ბრძოლის ველიდან და ჩვენ კანონიერი სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ კომუნისტური პარტია, მთელი მე-3 კომუნისტური ინტერნაციონალი მებაირაღტრეთ გამოდის დღეს ამ საერთაშორი[illegible] ბრძოლაში. [illegible]ატს და მის კომუნისტურ ავანგარდს ჯერ კიდევ დიდი ბრძოლა უძევს წინ, მას მოელის არა ერთი და ორი ძვირფასი მსხვერპლი, მარა ის ცნობები, რომლებიც მოგვდის ჩვენ ინგლის-რუსეთის მოლაპარაკების შესახებ მაჩვენებელია, რომ ნელა, მაგრამ შეუჩერებლათ სისრულეში მოდის ისტორიული განაჩენი ავაზაკური ბურჟუაზიის წინაღმდეგ..

კ. კრედო.

## ადგილობრივი პრესა

„ერთობა“ ბათუმის შემოერთების გამო საზეიმო წერილშიაც კი ვერ იკავებს თავს და განაგრძობს დაუსრულებელს, გლახა ჭრიაშვილის რეპერტუარიდან ნასესხებ მკვეხარა ოდას:

„ეს მოხდა არა ქველმოქმედებით, არა გარეშე ძალების წყალობით. ეს მოხდა საქართველოს ერის, მისი და აჭარის მშრომელი ხალხის მონდომებით. ბათომი არ არის ნაჩუქარი, ის არის ჩვენი ხანგრძლივი, შეუწყვეტელი პოლიტიკური ბრძოლით ჩვენთან დაბრუნებული.

ბათომი იყო და არის საქართველოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი. საქართველომ გამოიჩინა ნება არსებობისთვის ბრძოლაში, და მის აუარებელ მტრებს არ შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ ამ ნებისთვის“.

ჩუქება-ბოძებას შეჩვეული გაზეთი თითქოს ვილაცას აჯერებს—ბათუმი ნაჩუქარი არ არისო. ოღონდაც! ინგლისის ჯიშიანმა იმპერიალისტებმა დატოვება უფრო იციან, მარა თუ ისინი იძულებული შეიქნენ ბათომი ხელიდან გაეშვათ, ალბათ ვისიმე შიშით. ვთქვათ რომ საქართველოს „ნებამ“ დააშინა ისინი. მარა მათ მაინც ვხედავთ „აუარებელ მტრებს“ შორის:

„ბათომი ახლა ჩვენია, მაგრამ ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ გათავებულია ბრძოლა ბათომისთვის. საქართველოს საზღვრებთან დგანან იგივე მტრები—

[illegible] ხელაძის მიერ ძველი საზიანოთ, რომლის მუშათა [illegible]ადგენლობა წმინდა კომუნისტებია.

შავი და წითელი იმპერიალიზმის წარმომადგენლები. დამოუკიდებელი საქართველოს არსებობა არ შეეფერება არც ერთი, არც მეორე მტრის ინტერესებს. ისინი შესცვლიან მხოლოდ ბრძოლის საშუალებებს, მაგრამ ხელს არ აიღებენ თითონ ბრძოლაზე აქ თავისი გავლენის მოსაპოებლათ და ჩვენი დამოუკიდებელი არსებობის გასაქარწყლებლათ“.

ახლა გვესმის: ჩასაქოლავია „წითელი იმპერიალიზმი“, ის წითელი იმპერიალიზმი, რომელსაც არა თუ არავითარი ყურმანი არ გამოუჩენია საქართველოს საზღვრების დადებაში (გაგრის ოლქი, ზაქათალა, ბათუმის ოლქი და სხ.), პირიქით მზათ იყო და არის აქტიური დახმარება გაუწიოს ყველას, ვინც კი შავ იმპერიალიზმის ბრჭყალებიდან თავის დახწევას გადაწყვეტს.

„ჩვენ ვდღესასწაულობთ, მაგრამ არ ვუქმობთ. ეს დღესასწაული შესვენებაა ახალი ძალების მოსაკრებათ — წინ, წინ, წინ,—აი რას გვეუბნება დღევანდელი დღე. საქართველოს დემოკრატია დღეიდან წავა წინ ბათომის მშრომელ ხალხთან, და ეს შეერთებული ძალა გამოიყენებს ბათომის ღია კარებს ევროპასთან დასაახლოვებლათ და საერთაშორისო დემოკრატიასთან მჭიდრო კავშირის დასაკავებლათ. ჩვენ საბოლოოდ გავიმარჯვებთ, ან დავმარცხდებით ამ დემოკრატიასთან ერთად“.

რამდენათაც გვახსოვს „ევროპის“ და მის „დემოკრატიის“ წარმომადგენლებათ „ერთობა“ და მისი მრევლი სთვლიდენ იმ გენერლებს და უორდროპებს, რომელნიც თავს ისე გრძნობდენ ამიერკავკასიაში, როგორც შორეულ, ველური ხალხით დასახლებულ, კოლონიებში. მაშ რომელ ევროპას და დემოკრატიას ახსენებს ახლა „ერთობა? ხენდერსონების და შეიდემანების ევროპა ხომ იგივე „შავი იმპერიალიზმია?“ ამასთანავე ხომ კაი ხნის ამბავია, რომ ქართველ მენშევიკებს ურჩევნიათ „დასავლეთის იმპერიალისტები“ აღმოსავლეთის ფანატიკოსებს. ასეთი სიყვარულით ცნობილი გაზეთი ახლა აი რას სწერს:

„თანამედროვე ისტორიულმა ხანამ [illegible] გასული საუკუნის დასაწყისში. მაშინ ქაღალდზე აღნიშნული ადამიანის და მოქალაქის უფლება უნდა გატარდეს სინამდვილეში. ეს იქნება დემოკრატიული პრინციპის ფრთებ შეუკვეცლათ განხორციელება, ეს იქნება ერის და პიროვნების განთავისუფლება,

ამ პრინციპს, ამ თავისუფლებას დღეს უარყოფს ორივე მებრძოლი ბანაკი—კაპიტალისტური დასავლეთი ინგლისის მეთაურობით და ჩამორჩენილი აღმოსავლეთი ბოლშევიზმის თაოსნობით. ხალხის ბედ-იღბალს ისინი სწყვეტენ ხალხის დაუკითხავათ. ხალხის თვითმოქმედებას ვერ ურიგდება ვერც ერთი, ვერც მეორე სამთავრო“.

მარქსი გვასწავლიდა: მე-19 საუკუნის რევოლიუცია პროლეტარული რევოლიუცია იქნებაო. „ერთობის“ მარქსები კი მე-20 საუკუნეში, საარაკო იმპერიალისტურ ომის შემდეგ, მეორე ინტერნაციონალის ცოცხლათ გახრწნის შემდეგ ფილოსოფოსობენ—თანამედროვე ისტორიულმა ხანამ ლიბერალიზმი უნდა დაამთავროსო, ბაბეფვის საქმე კი არა,—უკეთეს შემთხვევაში იაკობინელებისა (თუმცა „იაკობინელი“ საფრთხუვნელა და საგინებელი სიტყვაა ჩვენებურ მენშევიკებისათვის). ეს კია—არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ხვალ იგივე „ერთობა“ სოციალისტურ რევოლიუციაზე ჩამოაგდებს საუბარს. საქანელაზე სიამოვნებს და ერთობა წვრილი ბურჟუაზია! აკი ამას წინეთ დეპეშით ატყობინებდენ მოსკოვს—ძმურათ შეუდგეთ სოციალისტურ აღმშენებლობასო.

* * *

იგივე გაზეთი „კომუნისტის“ ოინბაზობაზე სწერს:

„მოგეხსენებათ, როდესაც რომელიმე გაიძვერა ადამიანი ხმა-მაღლა დაიწყებს პატიოსნებაზე ყვირილს, ეს იმისი ნიშანია, რომ იგი რაიმე მზაკვრობას ამზადებს. ამ მზაკვრობის ყველა ნიშნები ემჩნევა უკანასკნელ დღეებში კომუნისტურ პრესას. რუსული და ქართული „კომუნისტ“-ები ორივე ოლაც საეჭვოთ ფიცულობენ ლეგალიზმის და ლეგალურ მუშაობის გზებს და მეტისმეტ ხაზგასმით უარყოფენ არალეგალურ მუშაობას, შეთქმულობითს მეთოდებს. ამ თემაზე დაწერილ ყოველ წერილიდან აშკარა ხდება, რომ შიგ კომუნისტურ პარტიაში დიდი შეხლა-შემოხლაა ამ საკითხის გარშემო. ორივე გაზეთი წუწუნებს იმ „ტერორის“ გამო, რომლითაც ასე ულმერთოდ ავიწროებს მენშევიკების პარტია კომუნისტებს, საქართველოს მთავრობის ზომებს „პროვოკაციის“ უწოდებს და თავის ამხანაგებს ეუბნება, ამ „პროვოკატორულ“ გამოწვევაზე ჩვენმა ამხანაგებმა უნდა უპასუხონ ყველგან ლეგალური მუშაობის გაორკეცებითაო“. (ქართული „კომუნისტი“). რუსული „კომუნისტი“ პირდაპირ აღნიშნავს, რომ ეს „რეპრესიები“ მეტათ აფიქრებენ კომუნისტებს: „ყოველ მხრიდან ხმა გაისმის, რომ შექმნილ პირობებში ლეგალური მუშაობა მეტათ გაძნელებულია და მოითხოვს უზარმაზარ მსხვერპლს“.

გაიძვერობის ნაცნობობაში ერთობისტებს უეჭოთ პირველობა აქვთ მოპოვებული, მარა მაინც დაუჯერებელია, რომ მას „მზაკვრობის“ მაჩვენებლათ მიაჩნია ჩვენი გაზეთის ხშირი „ფიცი“ ლეგალიზმის და ლეგალური მუშაობის. მართლა პატიოსნება სავალიუტო საგნათ უნდა გქონდეს გადაქცეული და უკვე გაზიდული შორეულ ბაზარზე, რომ ჩვენი პარტიის ახლანდელ ყოფაში „საეჭვო ფიცათ მონათლო ჩვენი პარტიულ ამხანაგების წყურვილი სინამდვილის სწორათ შეფასების და იმის დაგვარათ მოქმედების. გვესმის ახლა, ბატონო მენშევიკებო, თქვენი აღსარება: რომ ყველა იმ უმსგავსოებაში, რაც დღეს ჩვენი პარტიის წინაამდეგ სწარმოებს, მთავრობის ადგილობრივი აგენტები ყოფილან დამნაშავე, ისინი თურმე თქვენი პარტიის და მთავრობის ნაკარნახებ ზომებს ღებულობენ, არ არსებულ იარაღის საწყობებს აღმოაჩენენ, ყაჩაღთა ბრბოების მოთავეობას მიაწერენ ძველ სოციალისტებს, ზოგსაც მიბეგვავენ, ზოგსაც ბაწრით გაკოჭავენ, ამასთანავე ავრცელებენ ხმებს კომუნისტების სამზადისზე შეიარაღებულ გამოსვლებისათვის. გვესმის ისიც, რომ სოციალ-მეფორეთა ბტაშიც, გაზ. „ერთობა“ ამ სამარცხვინო კამპანიაში პირველ როლს თამაშობს და აი ცულლუტობის მორევში ეშვება:

„ამ დღეებში გამოვიდა საქ. კ. პ. დრ. ცენტ. კომიტ. ბიუროს ასეთი განცხადება.

„ჩვენ გადმოგვცეს, რომ ვიღაც მოცლილი თუ მოსყიდული აგენტები ავრცელებენ ხმას, ვითომც საქ. კომუნისტები ამ დღეებში ამზადებენ შეიარაღებულ გამოსვლას. საბაბი თურმე საქართველოს ჯარის ბათუმში შესვლა ყოფილა. პარტიის ცენტ. კომიტეტი აფრთხილებს მოქალაქეებს, არ დაუჯერონ ასეთ უმსგავს და ტუტუცურ ჭორებს ჩვენი მტრებისას“.

რაკი კომუნისტურ პარტიაში, თვით მისი პრესის მოწმობით, ძლიერი ყოფილა არა-ლეგალურ მდგომარეობაში გადასვლის მომხრეთა ხმა, ეჭვი არ არის, რომ ეს ხმა არ დარჩებოდა ცარიელ ხმად და ამ მიმართულების კომუნისტები შეეცდებოდენ სიტყვა საქმედ ექციათ, ლეგალურ მუშაობიდან შეთქმულობით მეთოდზე გადასულიყვნენ და თავისი მომხრეების გამოსვლა მოეწყოთ. ბაქოს „კომუნისტის“ სისულელის წყალობით ამ დღეებში კიდეც გამოაშკარავდა, რომ ასეთი მზადება თბილისში ყოფილა და კიდევაც დანიშნული ყოფილა კომუნისტების გამოსვლის დღე.

მოვახსენებთ ლიტერატურულ ჯაშუშებს; არა ლეგალურ მდგომარეობაში გადასვლის მომხრეთა ხმა სუსტათაც არ მოისმის ჩვენს წრეებში, ამხანაგები მხოლოთ აღნიშნავენ, რომ თქვენი „ლეგალიზაცია“ უზარმაზარ მსხვერპლს მოითხოვს ჩვენგან. თბილისში განზრახულ „გამოსვლებზე“ თქვენი „დანოსი“ ალბათ სასაცილოთ გაგხდით თქვენ თვით ბ. კედიას თვალში, თუ კი რა საკვირველია ის მხედველობაში არ მიიღებს თქვენს „მაღალ პოლიტიკის“ უმაღლეს მოსაზრებებს, რომლებიც გიკარნახებენ თქვენ ასეთ ხალას ტყუილების და ბინძურ ჭორების შეთითხნას იმ პარტიის წინაამდეგ, რომელსაც თქვენ ვერ „ამარცხებთ“ სხვა გზით, თუ არა ციხეებით და გადასახლებით.

ჩვენ კი ვაცხადებთ ყველას გასაგონათ: ის რასაც „ერთობა“ და მისი სოლის ჩამდგმელები როშავენ, თავიდან ბოლომდე განზრახ მოგონილი, ადვილი გამოსაცნობი პოლიციური შარია, პროვოკატორების და ჯაშუშების შეთხზული სიცრუეა. ჩვენ ძლიერ მაღალი წარმოდგენისა ვართ ქართველ „სიშჩიკებზე“. თვითპყრობელობის მაძებრების გამოცდილებას თან ერთად მათში შეერთებულია ყოფილ რევოლიუციონერთა მთელი კონსპირაციის კოდექსი და ასეთ პოლიციას შეუძლებელია არ ქონდეს ერთი დამაჯერებელი საბუთი მაინც ჩვენი გამარჯვების ან მისთვის სამზადისის დამამტკიცებელი. და აი ჩვენ მოვითხოვთ ჩვენს ასობით დაკავებულ ამხანაგებს ერთი ბრალდება მაინც წარუდგინონ და დაუმტკიცონ არა ჯაშუშური წესით, არამედ სასამართლოში.

## საბჭოთა რუსეთის პრესა.

**თავს ვაღწევთ თუ არა ჩვენ ეკონომიურ არევ-დარევას?**

(„პრავდა“ № 39, ნ. მეშჩერიაკოვი).

რამდენიმედ ჩვენ უკვე დიდი ხანია გამოვდივართ აქედგან. ჩვენ მიერ მოწყობილია ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ დამსხვრეულ ძველი ბურჟუაზიული სახელმწიფოებრივი მანქანის მაგივრად მმართველობის ახალი აპარატი. ორი წლის განმავლობაში ჩვენ შევქმენით დიდებული წითელი არმია. ჩვენ მიერ მოწყობილია მომარაგების აპარატი ნარკომპროდი, რომლის მუშაობა სულ უფრო და უფრო ნაყოფიერი ხდება. მთელი წარსული სამეურნეო წლის განმავლობაში (1918 წ. 1 აგვისტოდან 1919 წ. 1 აგვისტომდი) მან მოიმარაგა 110 მილიონი ფუთი პური, ხოლო მიმდინარე წლის 6 თვის განმავლობაში კი 108 მილიონი ფუთი. მომარაგებული პური ამ ჟამად ბევრად უფრო დიდძალი მოგვეპოვება, ვინემ შარშან ამ დროს გვქონდა.

ცხოვრების გრძელი რიგი, რომლებიც [illegible] კარგათ იყო დაყენებული სატყეო მასალის დამზადება. შეშა, სჩანს, რომ საკმარისად დაგვიმზადებია. და ამ მხრითაც სიცივის სასტიკ გაკვეთილს უსარგებლოდ არ ჩაუვლია ჩვენთვის.

ჩვენ შემოვიღეთ „სუბოტნიკი“ (შაბათობა). პოპულიარული გავხადეთ ეს იდეია ფართო ხალხის მასებში. ჩვენ ჩავითრიეთ ამ მოძრაობაში მუშათა მასები, ჩავითრიეთ უპარტიონი. მოძრაობა კვირიდან კვირამდე სულ უფრო და უფრო ფართოვდება და იზრდება. აქ ნაწარმოები მუშაობა და მიღწეული შედეგები წარმოადგენენ დიდ ნაბიჯს არევ-დარევიდან გამოსვლისათვის.

ახლა ჩვენ ვიტანჯებით ყველაზე უფრო ტრანსპორტის დაცემით, ორთქლმავლების უქონლობით. იანვრის დამლევში მდგომარეობა ისეთი ცუდი იყო, რომ რკინის გზებს ემუქრებოდა სრული შეჩერება ორი თვის შემდეგ ორთქლმავლების უქონლობის გამო. დგება თუ არა ახლა საქმე უკეთესად?

გადავათვალიეროთ ახლა ციფრები ორთქლმავლების რემონტის შესახებ, რომლებიც გამოქვეყნებული იყო „პრავდის“ გუშინდელ ნომერში.

მთელ 1919 წლის განმავლობაში 8 მსხვილ მანქანების საკეთებელ ქარხანაში რემონტი გაუკეთეს 91 ორთქლმავალს. რკინის გზის სახელოსნოებში 8.438 (სახელოსნოებისთვის, რომლების შესახებაც ცნობები გვაქვს მხოლოდ წლის ერთი ნაწილის შესახებ, ჩვენ შესაფერისად ვადიდებთ). გავადიდოთ ის 9 ათასამდე. დაუშვათ წელიწადში 280 სამუშაო დღე (ნამდვილად კი უფრო მეტი იყო). ყველა სახელოსნოებში და სხვა 8 ქარხანაში ერთ დღეს რემონტი გაუკეთეს საშუალოთ 32 ორთქლმავალს.

ავიღოთ ახლა სათადარიგო არმიის უკანასკნელი 6 დღის (11—16 თებ.) ცნობა. ამ ხნის განმავლობაში რემონტიდან გამოუშვეს 125 ორთქლმავალი, რაც 21 ორთქლმავალს იძლევა დღეში. ეს ქნა ერთმა სათადარიგო არმიამ, რომელიც მუშაობდა კაზანის გზის მხოლოდ ერთ რაიონში. ხოლო წარსულ წელში მთელი რუსეთის ყველა სახელოსნოებში რემონტს უკეთებდენ დღეში მხოლოდ 32 ორთქლმავალს. ნუ თუ ეს არ არის გარდატეხის და მიღწეულ შედეგების საუკეთესო დამამტკიცებელი?

ჩვენ შეიძლება გვითხრან, რომ ჩვენ ვცდილობთ ახლა შევაკეთოთ ცოტათ დაზიანებული ორთქლმავლები და ამიტომ ვღებულობთ ასეთ დიდ რიცხვს. მაგრამ მეუ რა გამოდის აქედან? ჩვენ ვმოქმედებთ სრული სისწორით. როდესაც საჩქაროდაა საჭირო ორთქლმავლები და რაც შეიძლება ჩქარა უნდა გამოვნახოთ უკანასკნელი, ხელი უნდა მოვკიდოთ უპირველეს ყოვლისა უფრო იოლ შეკეთებას. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ახლა სწორი მოქმედება დავიწყეთ. და ეს კი დიდი ნაყოფიერი შედეგია, ვინაიდან კარგი ორთქლმავლების რიცხვი გადიდდება. ამას გარდა წარსული წლის შეკეთების ცხრილს რომ თვალი გადავავლოთ, დავინახავთ, რომ მაშინაც გამოდიოდა შეკეთებიდან ბევრი ცოტათი დაზიანებული ორთქლმავლები.

ავიღოთ მეორე მაგალითი. მოსკოვში სხვა-და-სხვა ფაბრიკების და ქარხნების მუშებმა ხელი მოჰკიდეს ორთქლმავლებისა და ვაგონების შეკეთებას სამარშრუტო მატარებლებისათვის მუშაობენ ისინი თავისუფალ დროს. პირველ იანვრიდან 13 თებერვლამდის მათ შეაკეთეს 61 ორთქლმავალი და 2,480 ვაგონი. ამას გარდა შესაკეთებლად არის კიდევ 75 ორთქლმავალი და 3,478 ვაგონი. შეკეთებული 61 ორთქლმავალი უკვე გაიგზავნა პურისათვის; ორი აქედან უკვე მეორეჯერ არის გაგზავნილი.

შარშან არაფერი ამგვარი არ ყოფილა. ნუთუ ეს ნაყოფიერი შედეგი არაა?

აშკარაა—გარდატეხა მოხდა. მუშათა მასსები შრომას დაეწაფენ. მუშაობა გაჩაღდა, და მასთან ერთად თავს ვაღწევთ საშინელ ეკონომიურ არევ-დარევასა.

მაშ ერთგულად გასცხეთ ურო, ამხანაგებო! ერთგულად, მწყობრად გაუშვით ქლიბი! გამარჯვება შრომის ფრონტზედაც ჩვენსკენ იქნება!

**(ანტანტის „მშვიდობიანობის“ მოყვარეობა და პოლონეთი—ნ. ბ. „პრავდა“ № 117.)**

ინგლისის [illegible] ზოგიერთი მემარჯვენე ხელმძღვანელები (ჩვენებურათ მენშევიკები) დაჟინებით გვეკითხებიან: სად გაქვთ თქვენ იმის დამამტკიცებელი საბუთები, რომ ინგლისი ეხმარება პოლონეთს საბჭოთა რუსეთის წინაამდეგ შეტევაში? მართალია მთელმა ქვეყანამ იცის და ყოველ გონიერ ადამიანს შეგნებული აქვს, რომ „დიდ სახელმწიფოების“ დაუხმარებლად ცნობილი მარშალი პილსუდსკი არ გაწევდა რისკს მიესია ლეგიონერები მუშურ რესპუბლიკაზე. მაგრამ მენშევიკს ყოველთვის და ყველა ქვეყნებში ერთი თვისება აქვს: ის ენდობა ბურჟუაზიას, მის დიპლომატებს, მის გენერლებს, მის ხელმძღვანელებს, ხოლო ის არ ენდობა პროლეტარიატს. როდესაც რომელიმე კოლჩაკი ამბობდა: „მე დამფუძნებელი კრების მომხრე ვარო“, გამოთაყვანებული მენშევიკები მოწიწებით აღებდენ პირს და „თვალებით ჭამდენ“ „კეთილშობილ“ ადმირალს. როდესაც ახლა მისტერი ჩერჩილი ან სხვა ვინმე იმავე ჯურის ჯენტლმენი სახალხოთ აცხადებს, რომ რუსეთ-პოლონეთის ომში ინგლისი წმინდაა, როგორც ახლად დაბადებული ბავშვი, ინგლისელ მენშევიკს აზრადაც არ მოუვა იფიქროს, რომ სერ. ჩერჩილს შესწევს უნარი „ტყუილი უთხრას“ მუშებს. სამაგიეროთ ყოველი ნაციონალური მარკის მენშევიკები გაავრცელებენ ათასნაირ ხმებს, ჭორებს, მოშხამულ სისულელეს პროლეტარიატის პარტიის შესახებ და მუდამ ღვთიური უნდობლობით არიან აღთებული მის მიმართ. ჩერჩილებიდან და კოლჩაკებიდან ისინი არავითარ „დასამტკიცებელ“ საბუთებს არ თხოულობენ: ყოველთვის დარწმუნებული არიან იმათ სიტყვაში. სამაგიეროთ პროლეტარიატის პარტიიდან მოითხოვენ რაც შეიძლება ყოველნაირ დასამტკიცებელ საბუთებს.

ახლა საბედნიეროთ, ეს საბუთებიც არის, და მასთან ძალიან მნიშვნელოვანი საბუთები. დასავლეთ ფრონტზე ჩვენმა წითელმა არმიამ ხელში ჩაიგდო პოლონელებისაგან ინგლისელებისა და ფრანგების ზარბაზნები, ტყვიისმფრქვევლები ყუმბარები, და სხვ. მალე ესენი მოსკოვში, პეტერბურგში და სხვა ქალა-
ში იქნება, და თვითეულ მუშას ან
შა ქალს საშუალება ექნება ნახოს
სი თვალით „შრაპნელი“ და გრანა
რომელთაც განათლებული ყაჩაღებ
კუწ-ნაკუწათ გლეჯენ რუსეთის ხა
ტანს. ეს საბუთები თვითონ ლაპარ
ბენ ყოველ სიტყვებზე უკეთესად
თავის შესახებ. და ტყვილად კი არ
ყებენ ამ ჟამად დიდ სასტიკ კომპ
ნამდვილი მუშები, ინგლისის მუ
მოძრაობა პოლონეთისთვის იარაღი
წოდების წინაამდეგ. ეჭვს გარ
რომ საერთაშორისო მუშათა მოძრ
გადიდის ახლა ერთნაირ ახალ ს
ხურზე, სადაც პროლეტარების ერ
ნეთთან დაახლოვება იხატება აქტ
რევოლიუციონურ მხარის დაჭერის
ხით. სანამ შოუს მაგვარი ინგლისის
შევიკები ცდილობენ ცოტა მასალა
კრიფონ საბჭოთა რუსეთის წინაამ
და მოითხოვენ იმის საბუთებს,
ინგლისის მთავრობა იმპერიალისტ
მთავრობაა. სანამ ისინი აცხადებენ
ლისში რევოლიუცია შეუძლებელია“,
ლისის მუშები უკვე იერიშების მ
ნას იწყებენ პოლონეთის დახმარ
წინაამდეგ. ვინაიდან მათ მშვენივ
იციან სიტის ბანკირების და ვაჭრ
„მშვიდობიანობის მოყვარეობის“ მთ
ფასი.

ჩვენც კარგათ ვიცით ამ „მშვიდ
ბიანობის მოყვარეობის“ ფასი
ამიტომ, ვგრძნობთ რა მთელ
შიშროებას, უკანასკნელ ძალებს
ლევთ დასავლეთ ფრონტს,
უკუვაქციოთ მემამულეების შეტევა,
გავარღვიოთ ჩინური კედელი,
მელთაც შემოაჯფარგლესჩვენ პროლე
რულ ევროპისაგან კაპიტალისტუ
მტაცებლებმა.

## ბიულეტენი პრესბიურო

**რ. ს. ფ. ს. რ. წარმომადგენლ**

**ბასთან საქართველოში.**

**სამხედრო-ოპერატიულირადი**

**ცნობა**

7 ივლისი.

პოლონეთის ფრონტი

**ბობრუისკის რაიონში** ბერეზინის მ
ცხენა ნაპირზე, სადგურ პარიჩის
ხრეთით 5 ვერსტით სასტიკი ბრძოლ
ბია.

**მოზირის რაიონში** მოზირის ჩრდილ
ეთიდ 50 ვერსტზე ჩვენი ნაწილები ი
ძვიან მდტრებლის ხაზზე. მოზირის
სავლეთით ჩვენ ვიგერიებთ მტერს.

**სარნის მიმართულებით,** მკაც
ბრძოლის შემდეგ, ჩვენი ნაწილებმა
აგდეს მოწინააღმდეგე მდინარე უბო
ტის ხაზიდან და ავიწროებენ მას რკ
ნის გზის ორივე მხარის გასწვრივ.

**სტაროკონსტანტინოვკის რაიონში** მთ
ლი რიგ შეხვედრითი ბრძოლების შ
დეგ სტაროკონსტანტინოვკის ჩრთილ
ეთით ჩვენმა ჯარებმა უკან დაახევინ
მოწინააღმდეგეს და ავიწროებენ მას
ქალაქისკენ, შეპეტიევა-სტაროკონსტან
ტინოვკას რკინის გზის დასავლეთით.

**პროსკუროვის მიმართულებით** ჩვენმ
წინმსვლელმა ჯარებმა დაიკავეს ქ. ლ
ტიჩევი და აწარმოებენ ჩვენთვის სასარ
გებლო სასტიკ ბრძოლებს პროსკურო
ვოდან 35 ვერსტით რკინის გზასთან.

**დნესტრზე** ჩვენ ავიღეთ ქ. მოგილიოვ
პოდოლსკი.

### უკანასკნელი ცნობები.

**დრისას რაიონში.** დვინის მარცხენა
ნაპირზე ჩვენი ცხენოსანი ჯარი გამოვი-
და ქ. დრისის დასავლეთით 45 ვერსი
მდებარე სოფლების ხაზზე.

სამხრეთით ჩვენმა კოლონიებმა დაი-
კავეს დ. გერმანოვიჩი და განაგრძობენ
წინსვლას მდ. დრისენკის გასწვრივ ქ.
ოსიპოვის მიმართულებით.

**სვენციანის მიმართულებით** ჩვენი
წინსვლა გრძელდება. ჩვენმა ცხენოსან-
მა ჯარებმა დაამარცხეს პოლკები; ხელთ
იგდეს ტყვეები და ნადავლი.

**მოლოდეჩნოს მიმართულებით** ჩვენი
წინმსვლელმა ჯარებმა დაიკავეს ს. სეს-
ლაგანო. შეტევა ვითარდება.

**მდინარე ბერეზინის რაიონში** ჩვენ
დავიკავეთ დ. დაკშიცი. შეტევა გრძელ-
დება დასავლეთის და სამხრეთ დასავ-
ლეთის მიმართულებით.

„დაჩაგრული კლასის არსებობა შეადგენს სასიცოცხლო [პი]რობას ყოველ საზოგადოებისა, რომელიც დამყარებულია [კ]ლასთა ანტაგონიზმზე. მაშასადამე, დაჩაგრული კლასის გან-[თ]ავისუფლება აუცილებლათ გულისხმობს ახალი საზოგადოე-[ბ]ის შექმნას. ასეთი განთავისუფლების შესაძლებლობა ჩნ-[დ]ება განვითარების მხოლოთ იმ საფეხურზე, როცა მიღწეუ-[ლ]ი საწარმოვო ძალები და არსებული საზოგადოებრივი და-[მოკიდ]ებულებები უკვე ვეღარ თავსდებიან ერთი მეორის გვერდით. [ყვე]ლა საწარმოვო იარაღებ შორის უდიდეს საწარმოვო ძალას [წა]რმოადგენს თვით რევოლიუციონური კლასი. რევოლიუ-[ცი]ონური ელემენტების ორგანიზაცია კლასათ უკვე წინდა-[წარ]ნ გულისხმობს ყველა იმ საწარმოვო ძალთა არსებობას, [რ]ომელთაც შეეძლოთ ჩასახვა და წარმოშობა საზოგადოების [წი]ოდში.

განა ეს იმას ნიშნავს, რომ ძველი საზოგადოების დამ-[ხობ]ასთან ერთად დადგება ხანა ახალი კლასის ბატონობისა, [რომელ]ის გამოხატულება იქნება ახალი პოლიტიკური ძალაუფლე-[ბა?] არა.

მშრომელი კლასის განთავისუფლების პირობას შეადგენს [ყვე]ლა კლასების მოსპობა, სწორეთ ისევე, როგორც მესამე, [ბუ]რჟუაზიული წოდების განთავისუფლების პირობას შეა-[დგი]ნდა ყველა წოდების მოსპობა".

კ. მარქსი. „ფილოსოფიის სიღატაკე".

# საზეიმო.

ციოდა საშინლად...
საშინლად ბნელოდა...
გული კი ფანცქალით
განთიადს ელოდა!
ვსტიროდი შავბედზე,
ცრემლები მდიოდა...
და დრო კი შავ-ბნელი
დიოდა... დიოდა...

* * *

ირგვლივ ხმა ისმოდა
წუხილის გლოვისა,
ნიშანი ტანჯვის და
ცრემლების თოვისა.
და დრო კი უგულო
დიოდა... დიოდა...
საშინლად ბნელოდა.
საშინლად ციოდა...

* * *

ინათა!.. განთიადს
დღე მოჰყვა მზიანი!
აელერდა სიცოცხლის
ებანი ხმიანი!
გაბრწყინდა იმედით
ჩაგრულთა თვალები:
ქვეშ ბრძოლი გამოკრთა,
გაიპო ლალები...
ზე აღსდგენ!.. და ხელთა
„მათ" ეპყრათ ლახტები;
დაინგრა ბომონთა
ტაძრები, ტახტები,
ააგეს ახალი
საჯდომი რკალისა,
საგულე გულის და
საჩინო თვალისა!
დიადი, ზვიადი,
სადა და მარტივი.
ჰხამს რომელს დიდება,
ქება და პატივი!
რომ დაჯდეს ზედ ღმერთი
ნაზ სიყვარულისა,
ჩაგრული ხალხის მზე,
მძლე, შვება-სრულისა!..

* * *

აწ დათბა. არ ცივა,
არც ბნელა, ალარა!
წარსულმა უდროოთ
დამთოვა ჭაღარა.
გული კი არ გატყდა,
ამ დროს რომ ელოდა,
თუმც მძრავდა სიცივე
და ირგვლივ ბნელოდა.
მაგრამ იმ „შავზამთრის"
გადევგდეთ უღელი!
აწ ცას ვერ დათალხავს
ნისლი და ღრუბელი!..
და შვენის მის „ლურჯ ზღვას"
მზის ცეცხლის კიაფი,
ეს გულის ტალ-კვესი
და სულის ქიაფი!..

ნ. ზომლეთელი.

* * *

ვით მეთეორი, ჩაბნელებულ ცის უდაბნოში;
გავინავარდებ მეც, მგოსანი, სამშობლო ცაზე.
ბრძოლის ქინს აღვგზნი დაჩაგრულსა და ბედკრულ ხალხში;
ვასწავლი რაა გაზაფხული ან სილამაზე...
მე სიმღერებით წავაქეზებ, მებრძოლთა მუშებს,
რათა აწვდილი დროშა მაღლა, ძირს არ დახარონ;
არ შეუშინდენ, როცა ზეცა პირს მოიქუშებს;
და იარაღი მტრის წინაშე მათ არ დაყარონ..,

ალ. ხევდიშვილი.

[...]ოზირის რაიონში ჩვენმა ჯარებმა [...]ის შეტევის გამო დაიწყეს მდ. გრემ-[...] ხაზზე.

[...]ოზირის დასავლეთით დნეპრის [...]ოტილის დახმარებით ჩვენ მოვიგე-[...]თ მტრის ორი ჯავშნიანი მატარე-[...]ი.

[...]რნის მიმართულებით ჩვენმა ჯა-[...]მა 6 ივლისს აიღეს ქ. ოლევსკი. [...]ევა რკინის გზის სამხრეთით და [...]ილოეთით სარნისკენ გრძელდება.

[...]როსკუროვის რაიონში ჩვენი წინ-[...]ა.

**დამატებითი ცნობა.**

[...]სკოვი, 9 ივლ. პოლონეთის ფრონ-[...] ჩვენმა ჯარებმა აიღეს ქ. სტარო-[...]ტანტინოვი.

## ყირიმის ფრონტი

[...]ელი ფრონტის გასწვრივ სასტიკი [...]ლები გრძელდება.

# ეპეშები

(საქარ. დეპ. სააგ.)

[...]სკოვი პრესის მიმოხილვა; პოლო-[...]პანებთან ბრძოლაში ჩვენ გადამწ-[...] მომენტს მივუახლოვდით. წითელი [...] პოლონეთის ჯარს განუწყვეტლივ [...]ცხებს. დაწყებული კიევიდან რო-[...]დის ჩვენმა წითელმა ჯარებმა [...]ლით გაიარეს და ერთი თვის გან-[...]ობაში 350 ვერსით წინ წაიწიეს.

[...]პროფესიანალურ კავშირს და საე-[...] ყველა მუშებს ორგანიზაციებს [...]ნ დღიურ წესრიგში საკითხი ვრან-[...]ან ომის გაძლიერების შესახებ. [...]იის მთელი ყურადღება ყირიმის [...]ტს უნდა მიექცეს. ამხანაგი მოხა-[...]ები სამხრეთისაკენ უნდა გაეშურ-[...] ყოველ მუშას, წითელ არმიელს [...] განუმარტონ, რომ პოლონეთზე [...]ჯვება მაშინ შეიძლება, თუ ვრან-[...] გავიმარჯვებთ.

# [კ]ომუნისტების დევნა

[...]შაბათს, საქ. კომუნ. პარტიის [...] კომ. წევრი ამხ. გ. სტურუა მი-[...]განსაკუთრებულ რაზმის სატუსა-[...] ამხ. თ. კალანდაძის სანახავათ. [...]კავებულ იქნა. ბრალდება ტრაფა-[...]ლია: თქვენ აგზავნიდით პროვინ-[...] პროპაგანდისტ-აგიტატორებს ია-[...] შესაძენათ და აჯანყების მოსაწ-[...]!

[...]დღესვე ქუთაისში დაუპატიმრები-[...]ნტრ. კომიტ. და ქუთ. საგუბ. [...] წევრი ამხ. მიშა ოკუჯავა. „ბრა-[...]ა" —იგივე.

ექვს ივლისს მუშათა სასახლის შესა-ვალთან დატუსაღებულ იქნა მეტყავეთა კავშირის გამგეობის წევრი ამხ. ბექე-ტოვი, რომელიც უკვე გადაასახლეს ბა-ქოში. როგორც ვიცით ამხ. ბეკეტოვი არავითარ პოლიტიკურ ორგანიზაციაში არ იღებდა მონაწილეობას.

**მეტყავეთა კავშირის გამგეობა.**

6 ივლისს დილის 5 საათზე ქუთაისში დაატუსაღეს საქართველოს კომუნისტუ-რი პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კო-მიტეტის წევრები ამხ. დათიკო ლორქი-ფანიძე და ამხ. აკაკი დალაქიშვილი. გაჩხრეკის დროს მათთვის არაფერი სა-წინაალმდეგო არ აღმოუჩენიათ, რის და-მამტკიცებელი საბუთი ცენტრალურ უბ-ნის კომისარის მიერ შედგენილი ოქმია. ჩხრეკა კამისარის განცხადებით იარაღის აღმოსაჩენათ მოახდინეს, მაგრამ იარაღი რომ არ აღმოჩნდა, გაზეთები და ბრა-შურები წაიღეს. ორი საათის შემდეგ დაჭერილი მხანაგები ინახულა სისხლის სამართლის მილიციის უფროსმა ფიჩხა-იამ, ყოველივე წაღებული გაჩხრეკის დროს უკანვე დააბრუნა და განუცხადა მათ, რომ ცოტა ხნის შემდეგ ქალ. ქუ-თაისის მილიციის უფროსი მაღნარაძე ინახულებს მათ და გაანთავისუფლებს, რადგან არაფერი საწინააღმდეგო არ აღმოაჩნდათ. გავიდა რამდენიმე საათი და მაღნარაძის მაგიერ დაჭერილებთან შევარდა რამოდენიმე დაგეშილი მილი-ციონერი და გაუცხადეს მათ, რომ და-უყონებლივ წაიყვანენ ციხეში თანახ-მად ბ-ნ მაღნარაძის ბრძანებისა. დად-გენილება დაჭერის და ციხეში გაგზავ-ნის შესახებ მათ არ აჩვენეს, სანამ ცი-ხეში არ მიიყვანეს. ციხეში კი მათ წაა-კითხეს დადგენილება ბ-ნ მაღნარაძის, რომელშიც სწერია შემდეგი:

„თანახმათ სისხლის სამართლის მილი-ციის უფროსის ოქმისა დათიკო ლორ-თქიფანიძე და აკაკი დალაქიშვილი არიან არაკეთილსაიმედო პირები და ყაჩაღთა ბრბოების ორგანიზატორები, რისთვისაც იგზავნებიან ციხეში ერთი თვით, მხო-ლოთ მთავრობის წინაშე აღძრულია შუა-მდგომლობა, რათა გაგრძელებულ იქმ-ნეს ვადა 6 თვემდე."

ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტი სა-ქართველოს კომუნისტურ პარტიისა პროტესტს აცხადებს ამხანაგების ყოვ-ლათ უმიზეზოთ დაჭერის გამო და აღ-შფოთებას იმ საზიზღარ ბრალდების გა-მო, რომელიც მათ უმზგავსათ მიაკრა ადგილობრივმა პოლიციამ. ამხ. დ. ლო-როქიფანიძე საგუბერნიო კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, 1903 წლიდან ერთ ერთი აქტიური მუშათაგანია ბოლშევი-კური ფრაქციის და მის უმწიკვლო პი-როვნებისათვის ასეთი ცრუ და უსაზიზ-ღრესი მოპორილ ბრალდებით შეურაც-ხყოფა არ მიუყენებია და არ გაუთე-ლავს მეფის ჟანდარმერიასაც კი.

ქუთაისის საგ. კომიტეტი მოითხოვს ბოლო მოეღოს ასეთ აღვირწახსნილ თვითნებობას. მოითხოვს ამხანაგებისათ-ვის კონკრეტიულ ბრალდების წაყენებას ანდა გათავისუფლებას, ხოლო პასუხის-გებაში მიცემას განზრახ ყალბი ოქმის შემდგენელისას.

# პარტიული ცხოვრება

6 ივლის შესდგა მეორე რაიონის მეო-რე იაჩეიკის კრება. დადგენილ იქნა შემ-დეგი: იაჩეიკის ყველა წევრებისათვის სავალდებულოა ლექციებზე დასწრება. იაჩეიკის თვითეული წევრი ვალდებუ-ლია მოხსენება გააკეთოს თავის კვირეუ-ლი მოქმედების შესახებ. ქალაქის კონ-ფერენციის მოწვევის შესახებ იაჩეიკა თხოვს რაიონულ ბიუროს აღძრას სა-კითხი თბილისის კომიტეტში გამოიმუ-შაონ წარმომადგენლობის ნორმა და მოი-წვიოს კონფერენცია არა უგვიანეს პირ-ველ აგვისტოისა.

**პატრიკეთის საზოგადოება.**

მენშევიკური პარტია სოფლად საცო-დავად კოტრდება. რამოდენიმე წლის მისმა მართვა გამგეობაში მოღვაწეობამ გლეხობის დიდი უმრავლესობა მას ჩა-მოაცილა. თუ 1917 წ. მენშევიკების ორ-განიზაციაში, გლეხობა სტიქიურად მიილ-ტვოდა, დღეს ეს გლეხობა საერთოდ მას ზურგს აქცევს და უკანასკნელად „ბოი-კოტსაც" უცხადებს. გლეხობა უკვე დარ-წმუნებულია, რომ მენშევიკების პარტია არის მხოლოდ საზოგადოების მცირე ნაწილის მდიდართა ინტერესების გა-მომხატველი და არა მშრომელი მასის. თვით გლეხობაც უკვე იყოფა კლასიუ-რად, საერთაშორისო მდგომარეობის და სურსათის კრიზისის გავლენით. შესა-ნიშნავ მაგალითს იძლევა ამ მხრით პა-ტრიკეთის საზოგადოება. 1917 წელს მენშევიკების ორგანიზაცია ამ საზო-გადოებაში ძლიერი იყო.

მხოლოდ ოქტომბრის გადატრიალე-ბის შემდეგ ორგანიზაციას სასიკვდილო ფერი დაეტყო. მენშევიკური ორგანიზა-ციის ხელმძღვანელები მუშაობას თან-დათან ანელებენ და რამდენიმე ხნის შემდეგ მუშაობა სრულიად შეწყდა.

1919 წელს აპრილში აქ დაარსდა კო-მუნისტური ორგანიზაცია, რომელშიდაც პირველათ მხოლოდ ხუთი კაცი შედიო-და. შემდეგ თანდათანობით იზრდება და მენშევიკების ორგანიზაციის წევრების დიდი უმრავლესობა კომუნისტურ ორ-განიზაციაში გადმოდის.

მენშევიკების მუშაობის განახლებს-თვის მაინცა და მაინც თავს არ იწუხებდენ, მხოლოდ ახლა მოინდო-მეს მათ მუშაობის განახლება. 4 ივნისისთვის ამ ორგანიზაციის ერთმა ხელმძღვანელთაგანმა შეეცადა კრების მოწვევას, რაც შესრულებული იქნა. კრებაზე დაბარებული იყვნენ ძვე-ლი სოციალდემოკრატიული პარტიის წევრებიც, რომლებიც მენშევიკებს მათი ერთგული ამხანაგები ეგონათ. ამაში დამ-ნაშავე არიან არა კომუნისტი გლეხები, არამედ თვით მენშევიკები.

კრების გახსნისას თავმჯდომარეთ და-სახელებული იქმნა კომუნისტი. ის გა-მოვიდა და ილაპარაკა, თუ რატომ არ იყო პარტიული მუშაობა ამდენს ხანს. ბოლოს მან განაცხადა, რომ ის კო-მუნისტებთან მიდის. შემდეგ გამოვიდა მეორე ამხანაგი, რომელმაც სხვათა შო-რის სთქვა, რომ ჩვენ დიდი ხანია ამ ორგანიზაციას ჩამოცილებული ვართ, მაგ-რამ სასტიკი მენშევიკური რეაქციის გამო არ შეგვეძლო აშკარად გამოსვლაო, დღეს კი ჩვენ ლეგალურად ვართ და ვინც კომუნისტია ჩვენთან წამოვაო. კრება დასტოვა 45 კაცმა, რომლებმაც ცალკე შეიკრიბენ. კომუნისტების კრებას დაესწრო 50 ამხანაგი. მენშევიკების კრე-ბაზე დარჩა სულ მცირე რიცხვი. არჩეუ-ლი იქნა თავმჯდომარე, რომელმაც ილაპარაკა გამოყოფის მიზეზებზე. შემ-დეგ სიტყვა წარმოსთქვა „სპარტაკელ-მა." ის კრებამ მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა. შემდეგში ილაპარაკეს აქაურმა გლეხმა და სადგურ რიონიდან მოსულმა მუშამ. შემდეგ „სპარტაკელმა" განმარტა მოკლეთ მომავალ მუშაობის გეგმა. კრებამ გააცნეს კომიტეტის შე-მადგენლობა რომელიც შესდგა 27 ივ-ნის პასუხის მგებელ ამხანაგებისაგან. კრების ბოლოს მოვიდა ერთი სახალხო მოღვაწე, რომელმაც მისასალმებელი სი-ტყვით მიმართა კრებას, რაზედაც კრე-ბამ მხიარული ტაშის ცემით უპასუხა.

ივ.

# მუშათა ცხოვრება

**მეტყავეთა კავშირის საერთო კრება.**

(დასასრული).

მოხსენების შემდეგ მეტყავეთა კავში-რის მოქმედების შესახებ წამოყენებულ იქმნა ორი რეზოლიუცია: ერთი მეტყა-ვეთა კავშირის ძველი გამგეობისაგან, მეორე გამოთიშულ მუშების ნაწილისა-გან.

კავშირის გამგეობის მიერ წამოყენე-ბული რეზოლიუცია:

„გაარჩია რა გამგეობის მოქმედება მე-ტყავეთა პროფესიონალურ კავშირმა დაადგინა: ვიღებთ რა მხედველობაში იმ მძიმე პირობებს, რომლებშიაც მუშაობ-და გამგეობა, ჩასთვალოს მისი მოქმედე-ბა დამაკმაყოფილებლად და გადავიდეს ახალი გამგეობის არჩევნებზე".

მენშევიკური ფრაქციის მიერ წამოყე-ნებული რეზოლიუცია:

„მოისმინა რა როგორც გამგეობის მოხსენება, ისე პროფესიონალურ კავშირ-თა საბჭოს სეკრეტარიატის წარმომად-გენელის განმარტებაც, კავშირი დაუკმა-ყოფილებლად სთვლის ძველი გამგეობის მუშაობას და გადადის ახალი გამგეო-ბის არჩევნებზე".

პირველი, ესე იგი, ძველი გამგეობის რეზოლიუცია, თითქმის ერთხმათ იქმნა მიღებული (ხუთმა თავი შეიკავა).

მეორე, ე. ი. მენშევიკების რეზოლიუ-ციამ მიიღო მხოლოდ 5 ხმა. დაინახა რა თავისი საზიზღარი მოქმედებისა და პრო-ვოკაციის უსაფუძვლობა მუშათა შორის, ჩხენკელმა განაცხადა: „ჩემი განმარტე-ბის შემდეგ კავშირის გამგეობის მოქმე-დების შესახებ, ნდობის გამოცხადება ძველი გამგეობისათვის შეუძლია მხო-ლოდ პარტიულად განწყობილ ხალხს და ამიტომ მე ვსტოვებ კრებასო".

ნუ თუ ბ. ჩხენკელმა არ იცოდა თუ როგორი პარტიულად იყვენ განწყობილი მეტყავეთა კავშირის ამხ. მუშები, და თუ კი იცოდა, სად შეჰქონდა მას თავი-სი ცხვირი?

შემდეგ განცხადება შემოდის გამოთი-შულ მუშებისაგან, რომ ასეთი რეზო-ლიუციის მიღების გამო საერთო კრების მიერ, ისინი სტოვებენ საერთო კრებას და არ ჰსურთ ერთად მუშაობა და მე-ტად საინტერესო ისაა, რომ საერთო კრებას სტოვებს სულ 8 კაცი მხოლოდ.

ამის შემდეგ საერთო კრება ირჩევს წევრებს გამგეობაში და სარევიზიო კო-მისიაში.

საავადმყოფო კასის ანგარიშის შესახებ საერთო კრება ადგენს მოიწვიოს საა-ვადმყოფო კასის საერთო კრება და იქ გაირჩეს ეს საკითხი.

საკითხი გაფიცვის ფონდის შესახებ არ გარჩეულა, რადგანაც გვიანი იყო, და ენდობა ეს საკითხი დელეგატების კრებას.

სამუშაო ქირის შესახებ საერთო კრე-ბა ანდობს გამგეობას იმეცადინოს თბი-ლისის პალატის წინაშე, რომ ჯამაგირე-ბი იქმნას გადიდებული.

დატუსაღებულ ამხანაგების შესახებ საერთო კრება სასტიკ პროტესტს აცხა-დებს მთავრობის რეპრესიების გამო, და ავალებს გამგეობას გამოიკვლიოს და-ტუსაღების მიზეზები და მოაწყოს და-ტუსაღებულ ამხანაგების ოჯახებისათვის დახმარება კავშირის საშვალებიდან.

ამ.

**როგორ მუშაობენ ყანის მუშები დემოკრატიულ საქართველოში.**

სანდარიდან ჩამოსული მუშები გად-მოგვცემენ შემდეგს: ჩვენ სულ 9 კაცი დაგვიქირავეს ყანების სამუშაოდ თბი-ლისში. დამქირავებელი იყო თათარი, რომელსაც დიდი მამულები აქვს სან-დარის რაიონში. სამუშაოზე ჩასვლისას ჩვენ მიგვცენ დარაჯებს, რომლებიც გვამუშავებდენ ჩვენ დილის 3 საათიდან ღამის 11 საათამდის და გვაძლევდენ დღეში პატარა შავი პურის ნაჭერს. სა-ღამოობით დარაჯებს მივყავდით სახლ-ში, ხოლო მეორე დილას გვერეკებოდენ ისევ სხვა ყანაში და ასე განუწყვეტლივ. ერთი ჩვენგანი შეეცადა გაქცეულიყო, მაგრამ სროლა აუტეხეს და უკან დააბ-რუნეს. დაბოლოს ჩვენ სამმა მოვახერ-ხეთ გაპარვა; დანარჩენების შესახებ ჩვენ არაფერი არ ვიცით, მაგრამ დანამდვი-ლებით შეიძლება ითქვას, რომ იმათგან ცოცხალი არც ერთი არ დაბრუნდება. —აი დაცული მუშების ინტერესები საქართველოს დემოკრატიულ რესპუბ-ლიკაში.

**ლითონზე მომუშავეთა შორის.**

ლითონზე მომუშავეთა ახალი კავში-რი, რომელიც დაარსებულია საქართვე-ლოს პროფესიონალური მოძრაობის ხელმძღვანელის ბ. ხელაძის მიერ ძველი კავშირის საზიანოთ, რომლის მუშათა შემადგენლობა წმინდა კომუნისტებია,

ფიქრად აქვს საერთო კრების მოწვევა ამ დღეებში გასაერთიანებლად. ამხანაგებო, არ აყვეთ მენშევიკების პროვოკაციას, ახალი კავშირი ბ. ხელაძის დაქირავებული კავშირია, მაშასადამე გამცემელია

**ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა გაჭირვება პროვინციაში.**

მკითხველებმა კარგათ იციან ცხონებულ ნიკოლოზის დროს რა პირობებში უხდებოდათ მუშაობა ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს; მხოლოდ რევოლიუციის შემდეგ ცოტათ გაუმჯობესდა მათი ცხოვრება ქალაქებში. მაგრამ საუბედუროთ, ეს გაუმჯობესება პროვინციას არ დაეტყო; მით უმეტეს, რომ თუ ძველათ მუშა-მოსამსახურენი განიცდიდენ გაჭირვებას, ეს ხომ საერთო იყო და თუ როდისმე დააკმაყოფილებდენ რამეთი, პროვინციაც არ იყო დავიწყებული. დღეს კი სულ სხვაფრივ მიდის საქმე. ჩვენ არ გვიცნობენ „საქართველოს შვილებათ“, ვითომც ჩვენ უკანონო შვილები ვართ საქართველოს რესპუბლიკაში, თორემ მიზეზი რა არის ჩვენი ასეთი უყურადღებოდ დატოვებისა? თუ იმას ფიქრობს მომარაგების სამინისტრო ანუ შრომის კომისარი, ვითომც პროვინციაში იოლად გვიხდებოდეს ცხოვრება,—გამოგზავნონ თავიანთი რწმუნებული და გაეცნონ ჩვენს გაჭირვებას თუ სანამდის ადის შედარებით ქალაქთან. მაშინ დარწმუნდებიან, თუ რა მომთმენი ვყოფილვართ ჩვენ. ჩვენ ყოველივე პროფესიონალურ კავშირებს ჩამოშორებული ვართ და არავითარი დახმარება არსაიდან არ გვეძლევა, ჩვენთვის არავინ ხმას არ იღებს.

ქუთაისის ფოსტა-ტელეგ. რაიონული გამგეობაც გულგრილად გვიყურებს პროვინციელებს, არავითარ დახმარებას არ გვიწევს.

კმარა, ბატონებო, სიჩუმე, ნუ თუ გირვანქა პურმა დაგავიწყათ პროვინციელი ამხანაგები? ამოიღეთ ხმა ჩვენთვისაც.

პროვინციელი.

## ხელზე მოსამსახურეთა პროფეს. კავშირი.

„საქ. კომუნ.“ მე-10 №-ში მოთავსებული იყო ჩემი წერილი, რასაც მეტად გაუბრაზებია აღნიშნულ კავშირის მდივანი ბ-ნი პ. ლეჟავა და იმის მაგივრათ, რომ არსებითად რაიმე სთქვას, „ერთობის“ მე-147 №-ში ლობე-ყორეს ედება და ცილის მწამებლათაც კი გამოვყევარ. მერე რა ვთქვი მე „საქ. კომ.“ მოთავსებულ წერილში? ვთქვი ის, რაც ითქვა დელეგატთა კრებაზე და რაც შავით თეთრზე აღბეჭდილია ამ დელეგატთა კრებაზე მიღებულ რეზოლიუციაში, რომელიც თვით ბ. პ. ლეჟავა ნებსით თუ უნებლიეთ იძულებული იქნა თავის ხელით ჩაეწერა ოქმში.

გავსინჯოთ მუხლობრივ „ერთობაში“ მოთავსებული წერილი. ბ. ლეჟავა ამბობს: „დღეს ძლიერ ცოტანი არიან ისეთები, რომლებიც კავშირში არ შემოდიოდენ. ჩვენ გვაქვს სია წარმოებებისა და მოსამსახურეებისა. მაგრამ აქ ორი ათასი კაცი არც კი არის, რომ მათი წევრებათ ჩაწერა შეიძლებოდესო“. თქვენთვის უმჯობესი იყო ამაზედ ხმაც არ ამოგეღოთ, ვინაიდან ელბათ თითონ გრძნობდით წერის დროს ამის უნიადაგობას. ჩემს წერილში იყო ნათქვამი, რომ უწინ კავშირში იყო 2,000 წევრზე მეტიც, დღეს კი მხოლოდ 814 დარჩა. რით აიხსნება ეს? აქვს აქ გამგეობას რაიმე ბრალი თუ არა? ამის გასაშუქებლათ უნდა აღვნიშნო, რომ დღეს თბილისის სხვა და სხვა წარმოებებში ხელზე მოსამსახურეები არიან ორი-სამი ათასი და შეიძლება მეტიც. იმათგან კი კავშირში წევრებათ შედიან მხოლოთ 814. სად არიან დანარჩენები, რატომ ისინი კავშირში არ არიან? ყველასათვის ცხადია, რომ თუ მოსამსახურეები კავშირში არ ეწერებიან მიტომ, რომ არსებულმა გამგეობამ ვერ გამოიჩინა სათანადო უნარი—შემოეკრიბა კავშირში ყველა მოსამსახურეები. გერმანიის მაგალითი აქ მოსატანი არ არის, ვინაიდან თქვენ მართალი იქნებოდით, რომ მოგეხერხებიათ შეკავშირება თბილისის ხელზე მოსამსახურეთა უბრალო უმეტესობის მაინც, მით უმეტეს რომ საქმე უკვე გაჩარხული ჩაიბარა დღევანდელმა გამგეობამ. ამბობთ, რომ ხელთ გვაქვს სია წარმოებებისო; მით უარესი თქვენთვის, თუ ისიც ვერ შეგიდგენიათ წესიერათ.

ფინანსიური მდგომარეობის შესახებ მოვახსენებ ბ. ლეჟავას, რომ ძველმა გამგეობამ მათ ჩააბარა 54.000 მან. ნაღდი ფული. შემდეგ დღემდი შემოსულა 108.000 მანეთი. სულ შედგა 162.000 მანეთი.

კავშირის წესდებაში ნათლათ არის ნათქვამი, რომ გამგეობას აქვს უფლება დახარჯოს კავშირის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მთელი თანხის მხოლოდ 50 პროც. და არც ერთი კაპიკი მეტი. თუ მდგომარეობა მოითხოვს ზედ-მეტ ხარჯებს, მაშინ გამგეობა ვალდებულია მოიწვიოს საზოგადო კრება, ვისგანაც უნდა მიიღოს ნებართვა ამ ზედმეტი ხარჯების გაწევისა. გადაიკითხეთ წესდება და გაიხსენეთ, თუ დაგავიწყდათ. ასე რომ დღეს კავშირის კასაში უნდა იყოს (54.000 + 108.000):2, ესე იგი სულ 81 ათასი. კასაში კი არის 26.000 მანეთი. რა იქნა დანარჩენი? ამბობთ, კავშირის საჭიროებაზე დაიხარჯაო, რის შესახებ საბუთებიც გქონიათ. მე ეს საბუთები ვერ მაკმაყოფილებს, ვინაიდან ათასი საბუთიც რომ გქონდეთ, მაინც არ გქონდათ უფლება ეს ხარჯები გაგეწიათ საზოგადო კრების უნებართვოდ. ამით თქვენ დაარღვიეთ კავშირის წესდება. სარევიზიო კომისია კი, რომელიც ვალდებული იყო წესდების დარღვევაზე მიეთითებია თქვენთვის, თუ თქვენ ეს წესდება დაგავიწყდათ, ხშირად გამოდის თქვენივე დამცველად. ასეთ სარევიზიო კომისიასთან რასაკვირველია თქვენ შესძლებდით ყოველივე საბუთების წარმოდგენას.

ამ რიგად, ნურას უკაცრავათ, თუ დელეგატთა ყრილობამ ტაშით არ დაგაჯილდოვათ და მიიღო რეზოლიუცია, რომელმაც თქვენ ზურგი აგიწვათ. და მე კიდევ გავბედე და „საქმენი საგმიროინი“ თქვენი პრესაში გამოვიტანე.

ალ. ალავიძე.

—

**სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირის საერთო კრება.**

კვირას 4 ივლისს შესდგა ქ. თბილისის სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა კავშირის წევრთა წლიური საერთო კრება. დღიური წესრიგი იყო შემდეგი:

1. გამგეობის მოხსენება 1919 წ. მოქმედების შესახებ და 1920 წ. მოქმედების მიმოხილვა.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. ხარჯთაღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები, და 5. მიმდინარე კითხვები.

გამგეობის სახელით მომხსენებლად გამოვიდა კავშირის მდივანი მოვშენზონი, რომელმაკ მიუთითა იმ არანორმალურ პირობებზე, რომელშიაც უხდებოდა მუშაობა გამგეობას და რის გამოც 1919 წ. განმავლობაში გაკეთდა ცოტა. მან მიუთითა უმთავრესად დასახელებულ წელში მომხდარ ორი ჯგუფის ბრძოლაზე, რომელმაც შეაფერხა კავშირის მუშაობა. მიმდინარე წლის იანვრიდან მოხდენილ იქნა მოსამსახურეთა მდგომარეობის გამოსარკვევათ ანკეტა, მოწყობილი რაიონული კომიტეტები და სხ.

სარევიზიო კომისიის სახელით დასაბუთებული მოხსენება გააკეთა ამხ. ერქომაიშვილმა, რომელმაც ციფრებით ხელში დაამტკიცა გამგეობის უმოქმედობა 1919 წ. განმავლობაში. მან მიუთითა იმაზე, რომ გამგეობის სრული უმოქმედობა სჩანს არა მარტო კულტურულ-განმანათლებელ დარგში, არამედ ორგანიზაციულ დარგშიაც. სრული უმოქმედობა დაიწყო სწორეთ რომ იმ მომენტიდან, როდესაც ბრძოლა ორ ჯგუფს შორის, რომელზედაც მიგვითითა კავშირის მდივანმა, გათავდა შეთანხმებით და ცხოვრება ნორმალურ კალაპოტში ჩადგა. შემდეგ მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ გასამართლებელი საბუთები ანგარიშებზე სრულ 12 სექტემბრამდის არ მოიპოვება, და ამიტომ სარევიზიო კომისიას არაფერი არ ქონია გასარჩევი. დაბოლოს სარევიზიო კომისია აცხადებს, რომ საჭიროა გამგეობის მომავლის მოქმედების გეგმის შემუშავება და მისი პირდაპირი გატარება ცხოვრებაში. რაც შეეხება ანგარიშს, მკვიდრდება და მტკიცდება, ვინაიდან მისი არ დამტკიცებით გამგეობას მაინც არ ექნება საშვალება გამოძებნოს გასამართლებელი საუთები.

# მუშის შეჩვენება.

I.

სხვას ვემონო, ტვირთქვეშ ვკვნესდე,
სულ ვიტანჯო, არ ვიხარო,
ერთი ლუკმა პურისათვის
წელში გავტყდე, მოვიხარო?

სანამა ვარ ახალგაზრდა,
სისხლი მწოვონ თვის ნებაზე,
მერე, როცა დავბერდები,
გამომაგდონ შარა გზაზე?!

არა, არა, ამას ვერ ვიქ!
მე არ მივცემ ჩემ თავს ნებას!
ისევ სიკვდილს ვამჯობინებ
ამგვარ ყოფას, დამცირებას!

II.

ქვეშ ნესტიან სარდაფშია
უსინათლო ჩემი ბინა,
სადაც მყრალი ჰაერია
და ზამთარში ძალზე ცივა.

რო დავწვები მოქანცული,
უწყალოდ მკბენს კედლის ტილი,
ფეხებს უსვამ, სხეულს ვიფხან,
ვერ ვისვენებ, არ მაქვს ძილი.

აბა ჰკითხეთ ზევით მდგმურებს,
თუ აწუხებთ იმათ რამე?
რბილ ლოგინში ჩაწოლილი,
ხვრინვენ ტკბილად მთელი ღამე!

მწარე არი ჩემი ხვედრი:
ხან ავად ვარ, ხან კი მშია,
მაგრამ ვიცი, სხვა მუშები
ჩემზე უფრო ცუდ დღეშია.

ჩვენი ოფლით, გარჯილობით
შეგვიქმნია სალირალი.
სხვა მდიდრდება, ჩვენ კი ვრჩებით
მუდამ ბედის დამტირალი.

III.

ისევ არი ყვლეფა, ჩაგვრა,
ისმის მუშათ კვნესა, ოხვრა...
არ შეცვლილა არაფერი
მეფის ტახტი რომ დაიმსხვრა.

გავაჩაღოთ ისევ ბრძოლა!
დაყოვნება აღარა ღირს:
ძველი ქვეყნის ნგრევა არი
დავეშუროთ, დავამხოთ ძირს!

ჩვენვე ვიხსნათ ჩვენი თავი
მოვიკრიბოთ, ძმებო, ძალა,
მოვიშოროთ ვინც ხელს გვიშლის
მოღალატე, მაჩანჩალა.

ობოლა.

ხმის უმრავლესობით სარევიზიო კომისიის წინადადება მიღებულ იქმნა.

ცხარე კამათი გამოიწვია საკითხმა ხართ-აღრიცხვის შესახებ. გამგეობამ შემოიტანა წინადადება გადიდდეს გადასახადი 2 პროცენტამდის. პრინციპიალურათ სარევიზიო კომისია ეთანხმება გამგეობის წინადადებას, მაგრამ აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ვინაიდან გამგეობის წევრები გულცივად ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, კავშირის წევრების უმრავლესობას არც ის ერთი პროცენტი შემოაქვთ. ამიტომ საწევრო გადასახადი კი არ უნდა გავადიდოთ, რაც შეამცირებდა საწევრო გადასახადის შემომტანთა რიცხვს, არამედ უნდა გავაჩაღოთ ორგანიზაციული მუშაობა, რომ გავადიდოთ ისეთი წევრების რიცხვი, რომლებსაც თავის დროზე შემოაქვთ საწევრო გადასახადი. ამას გარდა პროცენტის გადიდება დააშინებს ბევრ ისეთებს, რომლებიც სწორეთ რომ კავშირის დახმარებას საჭიროებენ. სარევიზიო კომისიამ წინადადება შემოიტანა დატოვოს ძველებურათ 1 პროც, ეს წინადადება მიღებულ იქნა.

გამგეობაში არჩეულ იქნენ: 1) კორძაია, 2) სალირაშვილი, 3) აპრესოვი, 4) კირტოვი, 5) პაიჭაძე, 6) ტეტიუცკაია, 7) გორდინსკი, 6) ა. დევდარიანი, 9) სამუელიანცი, 10) კასრიევი, 11) ბახჩიევი. კანდიდატებათ: 1) კიკვიძე, 2) სანტურიანცი, 3) ლუარსაბოვი, 4) ლომიძე, 5) მატიკოვი. სარევიზიო კომისიაში: 1) ჯანგიძე, 2) ერქომაიშვილი და 3) კერჩაიშვილი. კანდიდატებათ: 1) ჩერნიავე, 2) ხარიტიანი. პროფ. კავშირთა საბჭოში: 1) კორძაია, 2) სალირაშვილი, 3) პაიჭაძე, 4) მოვშენცონი. კანდიდატებათ: 1) კორდინსკი და 2) ლომიძე.

## წერილი სომხეთიდან.

**ახალ-ბაიაზეთის ამბები**

მაისის 19 კანალუნში მყოფი 3 მილიციის პოლკი მასწავლებელ ცნობილ ბალშევიკ სარუხნიანცის მეთაურობით ადგენს სამხედრო რევოლიციონურ კომიტეტს და იღებს ადგილობრივ ბალშევიკების დახმარებით ქ. ახალ-ბაიაზეთის წითელ ჯარს უერთდება მთელი ბაიაზეთის რაიონის გლეხობა. ქალაქში და მახლობელ სოფლებში ცხადდება საბჭოთა მთავრობა. ორი დღის მკაცრი ბრძოლის შემდეგ უპურობის გამო წითლები მარცხდებიან და სარუხანიანი ტყვედ ვარდება „მაუზერისტების“ ხელში. სარუხანიანცს უზომოდ ცემენ, თავის ქალაზე არც ერთი თმას არ შეარჩენენ და გრძნობა დაკარგული მიყავთ სამხედრო-სამართლოს წინაშე. სასამართლოში წევრებად შედიოდენ გენერ. სილიკოვი, მაუზერისტი „ზენთის“ შვილი არსენ, ხმაბაპეტი და სხვა „გახთაჯინების მაუზერისტები“.

ჯერ ისტორიას არ ახსოვს ისეთი რამ, როგორც ამხ. სარუხანიანცი აწამეს. 22 მაისს ქ. ბაიაზეთის მახლობელ მთასთან მიყავთ ამხ. სარუხანიანცი დასახვრეტად. გზაში მის ორთავ მკლავებს აბამენ ორ ცხენის შუაში და კლავებ გაგლეჯილი, სულ დალეული მიყავთ დანიშნულ ალაგას და 48 ტყვიის დახლით წამებულ ნეშტს უკვალოდ კარგავენ. გარდა ამისა ატუსაღებენ 120 ამხ. ბოლშევიკებს, რომელთა ოჯახებსაც ცარცვავენ.

—

**სარიყამიშის ამბები**

მაისის 11 სარიყამიშში მყოფი მეოთხე პოლკის ჯარის-კაცები სარიყამიშში და და მის რაიონში საბჭოთა მთავრობას აღიარებენ. 8 დღის შემდეგ ხნაბაპეტ სეპურ და ბალშევიკების შორის მოლაპარაკება იმართება, სადაც სეპუ პირდება, თუ უსისხლოდ ქალაქს დატოვებენ ბოლშევიკები, მაშინ არც ერთ ბალშევიკს ხელს არ ახლებენ. ბალშევიკები დიპლომატიაში მარცხდებიან და თანხმდებიან. 18 მაისს სეპუს ხუმბი შედის ქ. სარიყამიში და მაშინათვე ატუსაღებენ ამხ. ბალშევიკებს. იჭერენ კომიტეტის წევრებს რიცხვით ოთხ კაცს და იქვე კლავენ, მახლობელ დაგუბებულ ტბაში ყრიან. როცა ერთ ამხ. ვერ ნახულობენ, რომ დაატუსაღონ, მიდიან მის სახლში, ცარცვავენ და მერე ცეცხლს უკიდებენ. დაიწვა ამხ. მოხუცი დედა... დანარჩენ 30 ამხ. ისე ეპყრობოდენ ‍და ეპყრობიან, რომ კალამი უძლურია ყოველივე აღწეროს.

ანტუშა

# მისალმებანი

**რეზოლიუცია.**

ამა თვის 8-ს შესდგა კრება რკინის გზის მთავარ სახელოსნოებში მუშა-მოსამსახურეთა, რომელსაც დაესწრო 30 კაცი სხვა და სხვა მიმართულების. უმეტესობა იყო მათში მენშევიკ-ინტერნაციონალისტები, და დანარჩენი კი კომუნისტები. კრება შეეხო გაზ. „საქართველოს კომუნისტს“ და დაადგინა: მივესალმებით „საქართველოს კომუნისტს“, რომელიც მართლა იცავს მუშის ნამდვილ ინტერესებს. კომუნისტების ორგანო ეხმარება მუშა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას. ის აშკარათ ლაპარაკობს ყოველ სიმართლეს. ჩვენ დღემდე გვიხვევდენ თვალებს დედაბრული ჭორებით და გვალანძვინებდენ ჩვენ დამცველ პარტიას, დღეს ეს აშკარათ სჩანს აზერბაიჯანიდან დაბრუნებული ამხ. ნაამბობიდან. დღემდე ენა შეკრული ვიყავით. დღეიდან კი ჩვენ ვეცდებით სულით და გულით შეუწყოთ ხელი ჩვენი ახალგაზრდა „საქართველოს კომუნისტს“, რათა გაძლიერდეს და მომავლისათვის მეტი შრომა და ენერგია დასდოს მუშათა საქმეს. გაუმარჯოს მის თანამოაზრეებს, თანამშრომლებს და ერთგულებს! ჩვენც ვხდებით მისი ერთგული.

კრება ერთხმათ იღებს ამ შინაარსის რეზოლიუციას.

ამხანაგების მონდობილებით მუშა

ნ. ც—ლი

## გაზეთ «საქ. კომუნისტის» ფონდი.

მე-2 რაიონის მე-9 იაჩეიკის წევრები სალამს უძღვნის გაზეთ „საქ. კომუნისტ“-ს.

გიგზავნით ჩვენს მიერ შეკრებილ მცირე წვლილს—800 მ.

შემდეგისთვის გადავსწყვიტეთ ყოველთვიურად ჯამაგირის 1 პროც. გადავდვათ ჩვენი პრესის სასარგებლოდ.

ამხანაგების მონდობილობით მიო.

ხაშურის რაიონის ... ციის მიერ შეგროვებული ... ლეგრაფის ... —350 მ.

—

ამხ. გიორგი კანდელაკისაგან მიღებულია გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ 60 მ.

—

მივიღეთ მე-2 რაიონში დამატებით შეკრებილი 10 ამხანაგისაგან—550 მ.

# ჩვენი ფოსტა.

ს. ვ. ჯ-ძეს—ეს არ გამოგვადგა, სცადეთ კიდევ და გამოგზავნეთ, შეიძლება დავბეჭდოთ.

დ. მ. წ. ლექსი არ დაიბეჭდება.

**დრ. რედაქტორი:**
**მ. ორახელაშვილი.**

თფილისის კომუნისტური ორგანიზაციის პირველი რაიონის ბიურო მოთავსებულია ჩერქეზოვის ქუჩაზე 135. სადაც პლეხანოვის სამკითხველოა.

ბიურო ღიაა საღამობით 5—7 საათამდე.

—

თბილისის კომუნისტური ორგანიზაციის მეოთხე რაიონის ბიურო დროებით მოთავსებულია რუსთაველის საზოგადოებაში, სადაც სწარმოებს ახალი წევრების ჩაწერა და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე და საღამოს 4 საათიდან 7 საათამდე.

—

**ამხანაგების საყურადღებოთ!**

მეორე რაიონის ს. კ. პ. ბიურო დროებით გადავიდა ტატიანის ქუჩიდან რუსთაველის სადგომში. მიღება ყოველ დღე დილის 10 საათ.—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

—

**მესამე რაიონის ს. კ. პ. ბიურო** დროებით მოთავსებულია რუსთაველის სადგომში, სადაც სწარმოებს ახალი და ძველი წევრების რეგისტრაცია. ბიურო ღიაა დილის 10 ნახ. საათიდან ნაშუადღევის 1 ნახ. საათამდინ და საღამოს 5 ნახ საათ. 7. ნახ. საათ.

—

ბიურო ს. კ. პ. ლანჩხუთის რაიონული კომიტეტისა მოთავსებულია კალისტე ებრალიძის შენობაში (მუშათა უბანში), აქვე მოთავსებულია დროებითი გურიის კომიტეტი საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტური პარტიისა.

**რაიონ. კომიტეტის პრეზიდიუმი.**

# ორგანიზაციების საყურადღებოთ!

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის საწყობში არის შემდეგი გამოცემები. ორგანიზაციებს შეუძლიათ მოითხონ კომიტეტის სადგომში—ტფილისი, პასკევიჩის ქ. № 3.

1) საგუბერნიო თათბირი ქ. ტფილისში და დადგენილება მიწის შესახებ.
2. კომუნისტური პარტიის მანიფესტი.
3. საბჭოთა რესპუბლიკა.
4. კომუნისტური ინტერნაციონალის პლატფორმა.
5. ვლ. როზანოვი—იმპერიალიზმი.
6. კავკასიის მშრომელ მასსას.
7. მიწის სოციალიზაციის ძირითადი კანონი.
8. ლენინის მოხსენება და სიტყვა მე-... საბჭოთა ყრილობაზე.
9. ნ. ლენინი—სახელმწიფო და რევოლიუცია.
10. კობა (სტალინ) ჯუღაშვილი—დიალექტიური მატერიალიზმი.
11. კ. მარქსი და ფ. ენგელსი—კომუნისტური მანიფესტი.
12. ნ. ბუხარინი—პროგრამა კომუნისტებისა (ბალშევიკების).
13. პარტიული წესდება.